„დამტკიცებულია"
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

_______________ ს. ტეფნაძე
24 ___ 03 ___ 2025
დადგენილება № 05/01

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

აკადემიური დატვირთვის წესი

ძირითადი ასლი

1. სარჩევი

1. სარჩევი 2
i. ცვლილებები 3
ii. ცვლილებების ისტორია 3
iii. მოქმედი გვერდების სია 4
2. დოკუმენტაციის კონტროლი 5
2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია 5
3. ძირითადი ნაწილი 6
მუხლი 1. ზოგადი დებულებები 6
მუხლი 2. აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია 6
მუხლი 3. აკადემიური დატვირთვის გაანგარიშება 7
მუხლი 4. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის განაწილების სქემა 7

2. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				დამატებული გვერდი			
თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**	**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**

2.1 ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი

3. მოქმედი გვერდების სია

თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**		**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**
-	1	0	თებერვალი 2025					
1	2	0	თებერვალი 2025					
2	3	0	თებერვალი 2025					
3	4	0	თებერვალი 2025					
4	5	0	თებერვალი 2025					
5	6	0	თებერვალი 2025					
5	7	0	თებერვალი 2025					
5	8	0	თებერვალი 2025					
5	9	0	თებერვალი 2025					

4. დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

4.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

5. ძირითადი ნაწილი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის (აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო) დატვირთვის ზღვრულ ოდენობას და საათობრივი დატვირთვის განაწილების წესს.
2. უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის დატვირთვის გაანგარიშება ხდება ასტრონომიულ საათებში, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით; ერთი საათი უდრის ერთ აკადემიურ საათს 50 წთ+10 წთ შესვენება.
3. აკადემიური დატვირთვის სემესტრულ და წლიურ სქემას, ფაკულტეტის საერთო აკადემიური დატვირთვის შესაბამისად და საათობრივი ანაზღაურების განაწილების კორექტირებას ახდენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ფაკულტეტებიდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.
4. შეთანხმებულ აკადემიურ დატვირთვას ფაკულტეტი ანაწილებს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალზე და აწვდის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს ცხრილის შესადგენად.
5. სამეცნიერო პერსონალის დატვირთვას ადგენს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

მუხლი 2. აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. წინამდებარე მეთოდოლოგიის მეშვეობით განისაზღვრება შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის რაოდენობის გამოთვლის მეთოდური საფუძვლები და წესი.
2. აკადემიური თანამდებობის პირის დატვირთვის მოცულობა განისაზღვრება (სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მიხედვით) სტუდენტთა ჯგუფებისა და სასწავლო წლის გათვალისწინებით;
3. აკადემიური პერსონალის მაქსიმალური საერთო რაოდენობის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველმყოფი აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას სტუდენტთა რაოდენობა, საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებები;
4. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილი უნდა იყოს არანაკლებ 1 პროფესორით და 2 ასოცირებული პროფესორით, წინააღმდეგ შემთხვევაში დაუშვებელია უმაღლესი აკადემიური პროგრამის შემუშავება და განხორციელება;
5. აკადემიური პერსონალისთვის თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი და ასისტენტი) განაწილებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ბიუჯეტი, საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური, სტრუქტურა, თავისებურებები, საჭიროებები, კვლევებისა და სასწავლო კომპონენტის სპეციფიკა (თეორიული, პრაქტიკული, ლაბორატორიული, კვლევითი და სხვ.) მოცულობა;
6. აღნიშნული წესი არ ვრცელდება საპატიო დოქტორების, პროფესორებისა და უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე მიზნობრივად მოწვეული მეცნიერებისა და პროფესორების რაოდენობაზე.

მუხლი 3. აკადემიური დატვირთვის გაანგარიშება

1. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში ერთი აკადემიური წელი მოიცავს ორ სემესტრს, თითოეული სემესტრი - 19 კვირას. სემესტრში 14 კვირა ეთმობა თეორიულ სწავლებას, 2 კვირა - შუალედურ შემოწმებას და 3 კვირა - დასკვნით გამოცდას. საჭიროებიდან გამომდინარე შეიძლება დაიგეგმოს ზაფხულის დამატებითი სემესტრი.
2. თეორიული სწავლების პერიოდში წლიური დატვირთვის სტრუქტურის ფორმირება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად და შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს სასწავლო პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე.
3. თითოეული სასწავლო კურსის შესწავლისათვის სტუდენტთა რაოდენობა ნაკადში (ჯგუფებში) ყალიბდება შემდეგნაირად:
   - 3.1. ლექციები უნდა დაიგეგმოს სტუდენტთა ნაკადებისათვის, როგორც წესი არანაკლებ 50-60 და არაუმეტეს 90 სტუდენტისა თითოეულ ნაკადში; გამონაკლისის სახით დასაშვებია მცირერიცხოვანი ნაკადები;
   - 3.2. პრაქტიკული მეცადინეობების დროს სასწავლო კურსის სილაბუსიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფების გაერთიანება 35 სტუდენტამდე. კომპიუტერული უნარების, საინჟინრო გრაფიკისა და უცხო ენების პრაქტიკული მეცადინეობებისათვის - 20 სტუდენტამდე;
   - 3.3. ლაბორატორიულ მუშაობებზე ჯგუფში ერთიანდება არაუმეტეს 20 სტუდენტისა;
   - 3.4. თეორიული სწავლების პერიოდში ტარდება შუალედური გამოცდა.
4. თითოეულ საგანში იგეგმება ერთი დასკვნითი და ერთი დამატებითი გამოცდა. შუალედური გამოცდებისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახური წინასწარ დაგეგმილი გრაფიკის შესაბამისად.
5. ფაკულტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტის საწარმოო და პროფესიული პრაქტიკის გავლა.

მუხლი 4. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის განაწილების სქემა

1. ერთ საშტატო განაკვეთზე მომუშავე პროფესორ-მასწავლებლის სამუშაო რეჟიმი განისაზღვრება კვირაში 40 საათის ოდენობით;
2. სამუშაო დღის განრიგია 9^{00} -დან 18^{00}-მდე ერთსაათიანი შესვენებით; სამაგისტრო პროგრამებზე სწავლება მის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან შეთანხმებით შესაძლებელია განხორციელდეს საღამოს ცვლაში 18:20-დან 21:10 საათამდე;
3. ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მომუშავე პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო წლის სააუდიტორიო საათების მთლიანი მოცულობა შეადგენს არაუმეტეს 250 საათს;
4. ერთ საშტატო ერთეულზე მომუშავე აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წლიური დატვირთვაა არაუმეტეს 1600 საათი. წლიური დატვირთვა შედგება ქვემოთ ჩამოთვლილი კომპონენტებისაგან. აკადემიური დატვირთვის სქემა შესაძლოა განსხვავდებოდეს სემესტრების მიხედვით, საიდანაც 1-9 პუნქტები უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 500 საათს წლის განმავლობაში.

№	**კომპონენტი**	**საათი**	**შესრულების პირობები**
1	2	3	4
1.	ლექციის, პრაქტიკული მეცადინეობების, ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება	სასწავლო გეგმის მიხედვით	
2.	შუალედური შემოწმებისა და დასკვნითი გამოცდის ჩატარება	4	ერთ აკადემიურ ჯგუფზე, (გარდა საგამოცდო ცენტრის მიერ ჩატარებული გამოცდებისა)
3.	საკურსო სამუშაოების შემოწმება და მიღება	0,5	ერთ სამუშაოზე
4.	საგანის სილაბუსის შედგენა	5	
5.	დამხმარე სახელმძღვანელოს გამოქვეყნება	50	არაუმეტეს 600 სთ. 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნების შემთხვევაში
6.	პრაქტიკის ორგანიზება და ხელმძღვანელობა	10	თითოეულ ჯგუფზე
7.	ბაკალავრის ხელმძღვანელობა	15	ერთ ბაკალავრზე
8.	მაგისტრანტის ხელმძღვანელობა	30	ერთ მაგისტრანტზე სწავლების მეოთხე სემესტრში (თითოეულ პროფესორს არაუმეტეს 6 მაგისტრანტი)
9.	დოქტორანტის ხელმძღვანელობა	240	ერთ დოქტორანტზე სწავლების მეორე წელს 120სთ, მესამე წელს 120 სთ (თითოეულ პროფესორს არაუმეტეს 5 დოქტორანტი)
10.	სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება	4	
11.	სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიაში მონაწილეობა	0,25	კომისიის თითოეულ წევრს ერთ მაგისტრანტზე
12.	საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიაში მონაწილეობა	0,25	კომისიის თითოეულ წევრს ერთ სტუდენტზე
13.	სადოქტორო ნაშრომისათვის რეცენზიის მომზადება	5	
14.	სადოქტორო ნაშრომის განხილვაში მონაწილეობა	3	წერილობითი დასკვნის წარმოდგენით
15.	სადოქტორო ნაშრომის დაცვის საბჭოში მონაწილეობა	3	
16.	საგრანტო პროექტის მომზადება	80	
17.	ფაკულტეტის საბჭოს მდივნობა	20	
18.	ლაბორატორიულ, საკურსო სამუშაოებზე მეთოდური მითითებების გამოქვეყნება	50	არაუმეტეს 200 სთ. 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნების შემთხვევაში

19.	სახელმძღვანელოს გამოქვეყნება	60	არაუმეტეს 800 სთ. 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნების შემთხვევაში
20.	ნათარგმნი სახელმძღვანელოს გამოქვეყნება	40	არაუმეტეს 800 სთ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნების შემთხვევაში
21.	მონოგრაფიის გამოქვეყნება	70	არაუმეტეს 1200 სთ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნების შემთხვევაში
22.	ლექციების კონსპექტის მომზადება (ელექტრონული ვერსია)	30	არაუმეტეს 1200 სთ. 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნების შემთხვევაში
23.	სამეცნიერო პუბლიკაცია* (წერილი)	60	
24.	პუბლიკაციის რედაქტირება	8	
25.	პუბლიკაციის რეცენზირება	4	
26.	სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებითი გამოსვლა	10	

5. დატვირთვის ცალკეული კომპონენტის შესრულებას წლის განმავლობაში 2-ჯერ განიხილავს ფაკულტეტის საბჭო, რომელიც მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას აწვდის ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებს.
6. მეცნიერი თანამშრომლის დატვირთვის ცალკეული კომპონენტის შესრულებას წლის განმავლობაში განიხილავს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. რომელიც მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
7. საათობრივ ანაზღაურებაზე მყოფი პროფესორ-მასწავლებლების სამუშაო რეჟიმი განისაზღვრება სასწავლო და საგამოცდო ცხრილების მიხედვით;
8. საათობრივ ანაზღაურებაზე მყოფი მეცნიერი თანამშრომლის სამუშაო რეჟიმი განისაზღვრება სასწავლო და სამეცნიერო დატვირთვის ცხრილების მიხედვით;
9. სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ სერტიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვა განისაზღვროს სააგენტოს წესის შესაბამისად. თეორიული სწავლების და საფრენოსნო პრაქტიკის განმახორციელებელი პერსონალისათვის მაქსიმალური დღიური დატვირთვა შეადგენს 8 და 6 საათს შესაბამისად.
10. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება მოხდება აკადემიური საათების მოცულობიდან გამომდინარე უნივერსიტეტში დადგენილი სატარიფო განაკვეთის მიხედვით.